


საქართველო  
გვიგვილის



# შინაგანი

## უურნალ „ჯავილისა“

I	ძუძუ გვაჭამე, დედიკო სურათი . . . . .	466
II	საჩუქარი (ცვენს ბავშებს) გ. დ. ჭრელაშვილისა . . . . .	467
III	ზამთარი გვიდვება . . . . .	468
IV	თედოს ფინია. ფრანგულით . . . . .	469
V	მამა ომში წაიყვანეს. ლექსი ა. გაპანისა . . . . .	470
VI	კურდლის ოჯახი ამბავი (გაგრძელება შემ- დეგ) გ. დ. ჭრელაშვილისა . . . . .	471
VII	გველი და ქლიბი. (იგაფ-არაკი ეზოპიდან) ა. სიხარულისა . . . . .	479
VIII	როგორ კეთდება გოლანდის ყველი. ჭუდრაჭისი	480
IX	მელიას ოინები. ზღაპარი თარგმანი გვ. შესხისა . . . . .	482
X	წყორძები: გამოცანები, შარადა, ჩქარა გამო- სათქმელი, რებუსი და სხვა . . . . .	500
<hr/>		
XI	ობოლი. ლექსი ჭადო ბებმტკორისა . . . . .	502
XII	ვაიმე, ბუზიკა! ცეკვისა . . . . .	503
XIII	ჩვენი სამშობლოს კუთხე აკარა. ა. წულაძისა . . . . .	509
XIV	ომი. ბიძია უორეის ნაამბობი. (შემდეგი იქნება.) თარგმანი გვ. შესხისა . . . . .	514

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერ-  
ლებს, კის: ც ხვედრი უკული არა აქვთ შემოტანი-  
ლი, დახქარონ გამოგზავნა.

საქართველო  
გირჩევის მუნიციპალიტეტი



# საუმაწვილო ნახატებიანი უზრუნალი.



სექტემბერი და ოქტომბერი 1915 წ.

◆ წელიწადი მეოცდაექვედა



თბილისი

ელექტრომბეჭდავი „შრომა“, მუხრანის ქ. № 12.

1915

ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର  
ବିଭାଗ



ମୁଖ୍ୟ ଧର୍ମଶାସ୍ତ୍ର, ଧର୍ମିକା!

## საჩუქარი.

(ჩვენს ბავშებს)



აგწან გვირგვინი,  
ია-ვარდისა.  
რჩეულთ ეგავილთა,  
მთის და ბარისა.

შეგამგე: ლალით,  
იაგუნდითა.

ძვირფასი თვლებით,  
მარგალიტითა.

უველა სიკეთით,  
ქვეუნიურითა.  
ენით ნანატრით,  
თვალთ ნანასითა.

დედნათ ვახმარე,  
ტკივილები ჩვენი ენისა,  
წელათ—კვნესა მისი,  
განუწევეტელ სჭეწნა შველისა.

და ამ საჩუქარს, ჩვენ ძვირფას ბავშებს,  
ვუძღვნი უველასა,  
ვინც შეისწავლის და შეიუვარებს  
სამძაბლოს ჩვენსა—ჩვენსა ენასა.

გ. დ. ჭრელაშვილი.


## ზამთარი გვიღვება.



ოფელში მრიელ თოვს, გოგობიჭები  
 სკოლაში მიცუნდებენ. კლასის ოთა-  
 ხში ცეცხლს გუჩგუზი გააქვს. გიგლა  
 შემოდის და სიცივით ხელებს იუმვნეტს,  
 მერე ცეცხლთან ჩაკუნტდება.

მასწავლებელი შემოდის, კლასს თვალს გადაავ-  
 ლებს და გიგლას ოომ დაინახავს ჰქითხავს:

- გიგლა, ადგილი არა გაქვს?
- ოომ არა, მასწავლებელო, საუკეთესო  
 ადგილი მაქვს, ცეცხლთან!



## თელოს ვინია



მებაღე თედომ შენიშნა,  
რომ მის შენახულ სტაფი  
ლოს სარდაფში თან და  
თან აკლდება. ერთხელ თე  
დო მიიმალა ჯოხით სელში კარებს უკან, რომ ქუ  
რდს უთვალთვალოს, მერე იცით რა დაინახა? მისი  
ფინია მიეპარებოდა ჩუმ-ჩუმათ, ნელა ნელა, კმიდელ  
კმიდელ სტაფილოს.

ფინიამ ერთ სტაფილოს პირი დაავლო და მოჭა  
კურცხლა საჯინიბოსაკენ. თედო გაჭევა, მაგრამ შიგ  
არ შევიდა, ხოლო დოლაბიდან იწეო ზვერა. მან  
საგულისხმო და საუკრადლებო ამბავი ნახა: ფინია იქ  
მიუახლოვდა ერთ თავის მეგობარ მოხუცებულ ავათ  
მეოფ ცხენს და სტაფილო ჩაუდო ბაგძი. მერე გასია  
წია მეორე სტაფილოს მოსატანათ, მერე მესამესი,  
მერე მეოთხესი და ასე უზიდა ბევრი სტაფილო.

ეოველ სტაფილოს მიტანასე, ფინია სახარულით  
კუდს აქიცინებდა, თითქოს თავის მეგობარს ეუბნებო  
და: მიირთვი, ბატონო!

თედო მიეალერსა ქურდს და მას აქეთ კურძი ერ  
თი ორათ გაუსადა.

(ფრანგულით)



# მამა ომში ჭაიუვანეს!..



ამა ომში წაიუვანეს!..  
 გეღარ ვფარცხამთ ანე  
 ულსა\*),  
 დედა საქმეს ვეღარ ასწრებს.  
მინაურს და გარეულსა.

კარის გენასს ჩეენთან  
 ერთათ  
 ცოემლები სდის შეუძრობა  
 ლბთ.

გაპარტახდა არე, მარე...  
 ასე დავრჩით უველა ობლათ.

შენ მოგვხედე, ზეციერო!  
 შეგვინასე უველა გულში,  
 მამა ისევ დაგვიბრუნე  
 ჩვენს სახლსა და ჩვენს მამულში.

ა. ქაბ. ნო.

\* ) ანეულს მაისში მოხნულ მიწას ეძახიან.



## კურდღლის ოჯახი.



აისი მიწურული იყო. შექ ერთ შების ტარზე-ღა იდგა. სოფელ მოვის ახლო, ჩვენებიანთ გენასის გაღმა, ტუის პირში იჯდა ორი კურდღლი, ერთი მათგანი, ღედა-კურდღლი, მრიელ მოწუენილი იყო და ჩქარასჩქარა აცა მაცუნებდა ტუჩებს, მეორე, მამა-კურდღლელი, ჩაჭეურებდა მეგობარს თვალებმი და ჩაეკითხებოდა: „რათა ხარ მოწუენილი, მეგობაროვო“?

— მციგა! მციგა! წამოიძახა ღედა-კურდღლელმა და ამ სიტევებით გამოეშურა გამოღმა ვენასისაკენ. მეგობარიც აედევნა თან. კურდღლები შევიდენ ვენასის გვერდზე ღობის ძირას ერთ მაულის ბარდმი და მოიკალათეს ღამის გასათევათ.

გათენდა. დილა მშვენიერი იყო. ახლათ ამოსულმა მზემ გაჭიანტა ცის ძირის-ძირობამდის თავისი სხივები, რომლებმაც დაიწუეს დილის ნამებზე ათას ფრათ ცქრიალი და ციმციმი; მეისედეს უველა ჭუჭრუტანაძი და სანათურში. ერთ სხივს რაღაც ახალი ამბავი გაეგო და იღუმალის თვალით იუურებოდა იმ ბარდმი, სადაც გუმინ საღამოზე ჩვენი ნაცნობი ქურდღლები შებარვდენ. ჭხედავს სხივი ბარდმი: ორ დიდ კურდღლს, იმათ შეა—წევილ ახლათ ნაძობ ჲა.



ტარა ნიკორა ბაცაცას. სხივმა გეღარ მოითქმის, მუდავა  
ექანა კურდღლებისა კენ, ჩაიკრა ორივე ბაჭია გულში  
და საღამომდის აღარ მოშორებიათ. ბაჭიებს ძრიელ  
ესიამოვნათ სხივის ალერსი ; დედის სხენით გამო-  
ბრუჯულებს და სხივის სითბოთ გაუუჩებულებს ძილი  
ერეოდათ და სთვლემავდენ. დაღამდა. მზემ ისევ წა-  
მოჰკრიფა მიწის პირიდან თავისი გაფანტული სხი-  
ვები და დიდის დიდებით მიეფარა ცხრასმთას იქით  
უძველებელ მთის მწვერვალოს.

მეორე ღღეს, მზის სხივმა ისევ ინახულა თავი-  
სი პატარა მეგობრები, ისინი სხივის დანახვაზე წა-  
მოშალენ და წამოცქვატეს პაწაწა უგრები. ბაცაცე-  
ბი ეხლა უფრო ღონიგორათ გრძნობდენ თავს; დასტო-  
დენ წინ და უკან, ეალერსებოდენ თავის მშობლებს,  
რომლებიც სიამოვნებთ შეჭერებდენ თავის მომხტუნავე  
შვილებს და ერთ წამსაც არ აშორებდენ თვალს.  
სანდასან მშობლებიც გუნებაზე მოდიოდენ შვილუ-  
ბის თამაშობით და, რომ უფრო გაამსიარულონ შვი-  
ლები, ისინიც შესტებ-შემოხტებოდენ სოლმე იმათ  
გარეშემო. ამ სიმსიარულემი გაატარეს კურდღლებმა  
მეორე ღღეც.

მესამე ღღეა. ეს ღღე უკანასკნელი ღღეა ბაცა-  
ცებისათვის, რომ ისარგებლონ ღედის გემრიელი  
რძით. შეძღვებ საძის ღღის, ბაჭიას აღარ აქვს ნება  
მოსთხოვოს თავის ღედას რძე. ეს კანონია კურდღ-  
ლოა გვარში, სამაგიეროთ ღედ-მამას ღიღი უნარი  
სჭირდებათ, რომ გაართონ შვილები, უმოვნონ იმის  
სთანა სახლდო, რომ შეერგოთ შეძღვებ მუმუდან ასა-



ხლეტისა. ამგვარი საზრდოს საშონელათ კურდღლების ბი ხმირათ ბინავდებიან ვენახების ახლომახლო და უფრო ხმირათ ვენახები, სადაც სწორეთ ამ დროის სთვის ზედ გამოჭრილი სარჩო, ლობით სთესია სოლმე და აკი ჩვენი ნაცნობი კურდღლებიც იქ დაბინავდენ. მესამე ღვეს კურდღლები ღილიდანვე შეუდგნენ შვილების გართობას, დედამ არ დაიშურა იმათვეის უკანასკნელი წვეთი თავის რძისა, მოაწეინა ალერსით და მიაძინა.

მეოთხე ღღეა. ცისკარი ახალი ამოსული იეო. მამლებს ერთი პირი ნაერვლი ჰქონდათ, გაედგიმებინათ უკელა შორსეგზათ წამსკლელი, მეორეთა ჰქიოდენ, აღვიძებდენ სოფლელებს: აღექით, აღექით გათენდაო. შემდეგ მამლებმა გადასძახეს მოსწავლებსაც, რომლებსაც დიდი ხანია რაც ეღვიძათ და საბნებში გახვეულები ტრიალებდენ, ერთი გვერდიდან მეორეზე, რა რო დაუგვიანდეთ და სკოლაში აღარ წავიდენ. აღექით, ერთი ტკენები ქალბატონებო და ვაუბატონებო, ტეუილათ ნუ ტრიალებთ საბნებში, თქვენ დღეს სკოლაში წასვლა ისე არ აგცდებათ, როგორც ზიარო სეტევაო, აღექით, გირჩევნიათ კიდევ ჩაუაროთ დიღაბობაზე გაგვეთილები, თორემ ხო იცით თქვენს მასწავლებლებს რეერთი ჩურჩხელები აქვთ დამზადებული. ამ სმაურობაზე და არიასქოთზე დაიძრნენ სოფლებიდან ტეისქენ მელები და ტურქებიც, და რომლებიც გუშინ საღამოზე ეწვიენ სოფლელებს, ქათამბატუისვინდაურების დასათვალიერებლათ. გაიღვიძა ჩექნმა კურდღლის ოჯახობამაც. პირველათ ბინიდან გამო-



ხტა კენასისაგენ მამა კურდღელი, რომ დიეთვალიფუას  
 რებანა, ხომ საფრთხე, ან განსაცდელი არა მოელის  
 რა იმის ოჯახს. მიიხედ-მოიხედა, არაფერი ამბავია.  
 შეატყობინა კალაბობას. მალე დედა-კურდღელიც გა-  
 მომვრა ბარდიდან, ნელის ნაბიჯით თავისი ქულფა-  
 თით. კურდღლებმა გაიარეს რამდენიმე ვაზის მირი  
 და შექუჩენ ერთ ლობიოს კვალში. რამდე-  
 ნიმე დღის მშიერმა მსხვილმა კურდღლებმა,  
 მადიანათ დაუწეს ლობიოს შექცევა. ბაცაცე-  
 ებმაც აიღეს სუნი საცმუცნავისა; ჯერ თამაშობით  
 დაუწეს ლობიოს ფოთლებს კოკნა, არ იუო რა ცო-  
 ტა ეჭამნიკათ და მადაც გაეხსნათ. უცხაი მამა კურ-  
 დღელმა დაჲკრა თათი მიწას და შეტრიალდ-შემო-  
 ტრიალდა ერთ ალაგას. კურდღელმა რადაც საშიში  
 გაიგო, გააფრთხილა ოჯახი. ბაჭიები დაინაბენ, მა-  
 კრამ ცნობის მოყვარეობა არ ასკენებდათ და უნდო-  
 დათ გაეგოთ, რაში იუო საქმე. წამოჲევეს თავები,  
 მიიხედ-მოიხედეს, დაინახეს რომ ერთ მელას. გა-  
 სთენებია საქათმეში და სერუსერ მუნძულით მიეჩა-  
 რება ტუისკენ.—დედი, ის რა არი, აგერ სერუსერ რომ  
 მომუნძულობს და ვგონებ რაღაცას უნდა მიათრევდე-  
 სო, ჰკითხეს ბაჭიებმა დედას. დედამ ისარგებლა ამ  
 კითხვებით და დაიწეო:—ეგა, შვილო, მიუგო შვილებს  
 დედამ,—მულია. საშინელი მატუუარა და ოინბაზი.  
 მრიელ უკვარს მაგას კურდღლის სორცით კბილის  
 გასისხლიანება; ფხიზელს ვერას გვიმფრება, რადგან  
 სირბილი კარგი არ იცის და ვერ დაგვიჭერს, მაგ-  
 რამ ღამეკი სულ დაბარბაცებს ქოცოუგზირიცით და,



თუ მოგვადგა ნამძინარევს, ვაი ჩვენი ბრალი. საჭიროებული  
ნლათ უევარს მაგას ქათმებიც და ერთი ლექსიც გა-  
მოუთქამს იმათვეის:

ქათმისა მიევარს ენაო,  
მაღლიდან გადმოფრენაო.  
მხარ-ბარკალ-კურტუმ-კისერი,  
ცოტა რამ სამწიწნარაო, და თუ  
საბძელსაც დაუმატებთ,  
ჩემთვის ისიცა ქმარაო.

გლეხ-ეაცს კიდევ სო ადარა აქვს მისგან მოსვე-  
ნება, ქვას-ქვეშ რო ამოდოს გლეხმა თავისი საგმა-  
ლი, ეგ წეული, იბოვნის და შეუჭამს. ერთი მაგის  
ოინბაზობა მეცა ვნახე ჩემი თვალით და ისე მასხო-  
ვს, ასე ძგონია გუპინ იუო მეთქი და რო მომავონ-  
დება სულ სიცილი ამივარდება ხოლმე: დილა იუო,  
ვიჟე ეანის პირში; წეალი მომწეურდა და ბალახის  
ნამით ვიკრილებდი გულს. ეანაში მოვიდა გლეხი,  
ზურგზე საგმალ აკიდებული, მოიხადა საგმალი, მი-  
აბარგა იქვე ჯაგის მირზედ და თითონ, გაჩანსული  
ნამგლით, გასწია ეანისქენ, გადიწერა პირ-ჯვარი,  
ახსენა ღმერთი და დაიწეო მუშაობა. გლეხი გამრია-  
ლდა მუშაობაში. დაიწეო ღიღინი. სად იუო სად არა  
და, გამოჩნდა ეანასთან მელა, დედამიწიდან ამოვარ-  
და, თუ ციდან ჩამოვარდა ვერა გავიგე რა! ცოტა  
სანს დაინაბა, მემრე გადაგორდ-გადმოგორდა, კიდევ  
გადაგორდ-გადმოგორდა. მე ვიცოდი, რომ მელია  
უსაქმოთ არ იუო გარჯილი და არც უსაქმოთ გო-  
რავდა, მაგრამ, იმას კი რა მომაფიქრებინებდა, რომ



զլյենու ծարցտան կիշոնք և սայմե. օգոռութեա-  
 ռա մյլամ դա զլյենու ծարց զո ամուսնութ զըշ-  
 ջն. զաճմոածարց մյլամ ծարցո. այս զըշոնեցութ  
 ռամե մյշնասազ դա յմբեն. ծոլուս մուզգա մահոնու  
 վուլան. այ լուրի եանս վյըց մյլա, մյըց պահա ոյ-  
 եցն դա զանեց-զամուեց, եռ շուցուն մեցացն  
 դա ան զլյենու եռմ առ քամունասառ. ջարմիշն մյլա,  
 ռոմ զարմեմ առացուն առ դա զլյենու կուց զարտց-  
 լու դա վարունցն յօն յանամո, մուշուն մահցնու  
 վուլան. վուլա լուրի նոր-պուրու ոյու դա առ  
 ուրութ մյլամ սամուն դա ռոցուր մուսքումութ մա-  
 թոնի, ծոլուս առ պահուա դա առ պահուա, իսպա-  
 մալատ վուլամ տապո, զամուլոյ սրուլուա մահոն  
 դա զայթեամ ուսց զանաբարտ, մազում լոյցուլատ. ամու-  
 սիւն վուլութ տապո, մազում վուլու տան առաջն. ուսկց-  
 չա մյլամ, օյուրու զաճցնուցն դա վուլան մուզումութց  
 ծուռ, մազում վուլա ուսց տան զաճցն ամ սկզնէկց-  
 նու զամուսրա իյմիկցն. իյ սամունցատ զայցունա. իյն  
 նուրութ զլյենու զամուեց ծարցուսկցն, մուզոնք  
 մաթոն. օյուրու: մյլամ կուց ունու առ մոյուսու, մա-  
 քայլեսպ յուրու վուլա ռմյ քամունցամա, տապուս տօնամու,  
 ամ ոյուրու զլյենու զամուսիւն ծոնուսկցն, նամցլուտ  
 ելումո. քամունա ծոնա այուղեցուա. նախա, նաջուա մա-  
 թոն, ռա մյշունասազ ռամ յմբ. մուսցումունց  
 ֆանաս մյլան նացուրու դա նապուրուն. զամուշց  
 գիշելս դա մուզց մյլան. վեցաց զլյեն, մյլան:  
 տապու մյշումուց այց ունու մահցնու վուլա դա եան  
 յուր պաց մուսցու դա եան մյուրց. զամուցց մու-

საკლავათ, წამოუსვა ნაძვალი, ნაძვალი შეღას მაგრა კი კილას მოჭევდა და შემოემტვრია მეღას თავზე. ერთი კი მოჭევდა მეღამ გლეხს, თითქო მადლობა გადაუხადა და მოუსვა ტექმი. მაგ ტიალს იღბალი აქვ უველაფერში, დაიწეო გლეჩა სიცალით და თავის ქნევით თავისთვის ლაპარაკი, მაწონი შემიწამა, დამარა-რჩუნა უსველოლუკმოთ, გამოუდექ უნდა მოშეკლა და სიკვდილის მაგიერ, მევე სიკვდილს გადავარჩინე. ბაცა-ლებმა ბევრი იცინეს მეღას ოინბაზობაზე. კურდღლის მზეს მეჭევდა. კერ კიდევ ადრე იუ. კიდევ უნდა გაერთო შვილები, რომ რე არ მოეთხოვათ.—ის კიდევ, შვილებო, განაგრძო კურდღლება, თქვენ როგორნათ მეღია რაღაცას მიათოვედაო, მეღას კუდია. რაც მეღება იმის კუდიც ის არი. როცა რამე ტეული შეაჩნდება მეღას და უნდათ დაჭიდონ, ის მაში-ნითვე თავის კუდს მოივანს ხოლმე მოწმათ თავის თავის გასამართლებლათ. თუ კიდევ ვეღარც კუდი ჰქველის, ძძინ გაუძველებათ ხოლმე ხელიდან გლე-სებს და ჰერი. დადგენებიან სოლმე გლეხები მწევარ მექებრებით, მაგრამ აქც მეღი კუდს დასაქმებს ხო-ლმე. დეწივნენ მეღას მწევრები, ჟა და ჟა! უნდა ასწიონ ჟაერში, მძინ მეღა გაიძერს ერთ-ერთ მხა-რეს კუდს, მწევრებს მეღის კუდი მეღათ მოეჩვენე-ბათ ხოლმე სიჩქარეში და გარბიან იქით, საითაც მეღამ კუდი გაიშვირა. მოტეულებული მწევრე-ბი, ბრუნდებიან მეღიას კენ. ასლა მეღა მეორე მხა-რეს გადუგდებს მწევრებს კუდს და გაიტეულებს. ასე და ამგვარათ, იქამდისინ აწვალებს მეღა მწევრებს,



სანამ შეჰქობს სოროში თავს და მემრე უუარეთ მწერებს გაკალი. კურდღელმა გაათავა და მოიხედა შვილებისაკენ, შვილებს კიდეც ჩასძინებოდათ. მზეც ჩავიდა.

გათენდა მესუთე დღე.

ჯერ კურდღლები ისევ ლობიოში ისხდენ და არსეინათ შეექცეოდენ დილის საუზმეს, რომ ვენასის თავიდან ხმა მოიხმა: ჭრიკვ! ჭრიკვ! თრ! თრ. ეს ჭრიკვინი და თრიალი კაჭკაჭისა იუო. იმას რაღაც სუნი აეღო და ჭრიკვინით მოჰქონდა გამალებული. მოფრინდა კაჭკაჭი, შემოჭდა იქვე კურდღლების ახლო სარზე და გაფარციცებულმა დაიწუო თვალების ცეცხალი. დედა კურდღლელი მაძინათვე მიჰსვდა, რომ იმათ კაჭკაჭი უამბოთ არ ესტუმრათ. მაძინათვე ანიმნა შვილებს დამალულიუკენ ლობიოს ძირებში. და თითონ კაჭკაჭის თვალების ასასვევათ დაიწუო ლობიოებში თამამათ სტუნგა, ვითომ და მარტო აქ მსხვილი კურდღლები ვართო. კაჭკაჭი ზის სარზე და ატრიბუებს ბოლოს, იცქირება ლობიოებისაკენ, თითქო ეუბნებოდა კურდღლებს: დაგინასეთ ვაჟბატონებო, და ვინასეთ, ვიცი, რომ მანდ ლობიოს ძირებში პატარა ბაჭიები მიჰსალეთო, მაგრამ იმანაც უაზრობის გულისთვის, გასწია ჭრიკვინით ტეისაკენ და საქმე შეძღვისთვის გადასდო, სულ ერთია ეენი ჩემი წერანი არიანო. ბაჭიებმა კარგათ დაინასეს თვალებ გაცეცებული კაჭკაჭი და შემინებულებმა ჭკითხეს დედას: ეგ რაღაა, დედილოვო. ეგა, შვილებო, კაჭკაჭია საძინელი მტერი კურდღლის ბაჭიებისა. რა წამს უდროუ ვო დროს უდედ-მამო ბაჭიასა ჭნასავს კაჭკაჭი, შეუჭმელს არ გაუშვებს იმათ.

გ. დ. ჭრელაშვილი.

(დემოვი იქნება).

# გველი და ქლიბი.

(იგაფ-არაკი ეზობიდან)



კველი შეძვრა სამჭედლოში, ერთ კუთხეში  
ქლიბი ნახა,  
და იმ წამსვე მისი გაღრმნა და მოშამვა  
განიზრახა,  
სტაცია პირი, უწეო კბენა, რაც შესწევდა ღონე,  
ძალა,  
დაქაწრა პირი, ენა, ოლათ სისხლისგან დაიცალა.  
ქლიბმა უთხრა: „ჰა, ბოროტო, ვხედავ გინდა ჩემი  
წევნა,  
ვეღარ ხედავ. გერას მაკლებს შენი შხამი, შენი ენა,  
და, პირ იქით, ჩემზე მტრობამ გნება თვით შენ მო-  
გაუენა;  
ხომ დარწმუნდი, შენზე მეტიც შესძლებია სხვასაც  
კბენა?!  
შეტი რა ვსოქვა, ვერიდები სხვების წევნას, უქმ  
ლაპარაკს,  
ამიტომაც გადავსწევიტე ბოლო მოვსჭრა იგავარაკს.

ი. სიხარულიძე.



## როგორ პეტლეგა გოლაციის ჟაღი.

**ვ**ეღას; გეცოდინებათ ან გენახვებათ, ბავშვბოროგორ კეთდება ჩვენში ძროსის რძის ან თხის რძის უველი, მაგრამ გოლანდიის უველის გაპითება კი არა მგონი უველა თქვენგანს ენახოს. გოლანდიის უველს ფერც და გემოც სულ სხვა აქვს, ვიდრე ჩვენ უველსა. ჩვენი უველი თეორია და მლაშე, გოლანდიის უველი კი უვითელი და მოტკბილო.

გოლანდიის უველი 1—2 ფუთი რძისაგანაც შეიძლება გაკეთდეს. ერთი ფუთი რძიდან 4—5 გირგანქა უველი გამოდის. რუსეთში გოლანდიის უველი კასტრომის მაზრაში კეთდება, სადაც გლეხთა ამხანაგობას ჰატარუატარა უველის ქარსანა აქვთ. როდესაც რძე ქარხანაში მიაქვთ საცერმი სწურავენ და მერე დიდ მუსის 25 ვერიან ბოჩკებმი ასხამენ. ამ ბოჩკებიდან რძეს ნაწილ ნაწილათ იღებენ  $40^{\circ}$ -მდე აცხელებენ და ისევ მიგ ასხამენ, სანამ მთელი რძე  $25^{\circ}$ -ს მიაღწევს. მერე ამ რძეს დედას უშვრებიან, ბოჩკას თავს დასურამენ და 20 წუთს ასე სტოვებენ დასამუშავებლათ. შედეგებულ უველს სპილენძის მესერით აქუცმაცებენ, სჭრიან ასე 25 წუთი. მერე დააცდიან და როდესაც უველის სისქა დაილექავს შრატს გადასხამენ, გადასწურამენ. დალექილ სისქეს ერთ დიდ გუნდათ აგროვებენ. მერე ნაჭრებათ სჭრიან და პრესით არგვალებენ. ამ უველს ათი დღის განმავლოւ-

ბაში აშარილებენ. და მერე გამოსაუენებლათ 2—3 თვეს სარდაფეული ძწეობენ, სადაც  $15^{\circ}$  სიობოა. სარდაფში დების დროს, ერთი თვის შემდეგ, უკელი ერთი ორჯელ რეცხავენ. 2—3 თვის შემდეგ უგალი მზათ არის. უკელეურება სარის ბუძტებში ახვევენ, ჰქებავენ და გასაუიდათ ჰეგზავნიან.

ჩვენშიაც, ბორჩალოს მაზრაში, არის უუჩენბახის ქარხანა, სადაც აკეთებენ ამგვარ უკელს და ჩამოაქვთ თბილისში გასაუიდათ.

კუდრაჭა



# მელის ღინები

ზღაპარი.



ადეტის კორპუსის მოწაფეს პა-  
 ტარა ვასოს დედ-მამა დიდი ხა-  
 ნია დაქოცა და მარტო პაპას  
 და ბებიას ასაბარა დარჩა. ზამ-  
 თარში ვასო. სასწავლებელში  
 იუო და ზაფხულში კი სოფელში.. სოფელში  
 დიდი შემაბანდიანი სახლი ჟეონდათ. სას-  
 ლის უკან კი ბაღი და ბოსტანი.

პაპა ნამსახური კაცი იუო, ღენერლის ხარისხით,  
 ძალიან კეთილი და ალექსიანი. მთელი დღეები რაც კი  
 სახლში დამტკრეული ავეჯი იუო სულ აკოწიწებდა და  
 აკეთებდა, ან ხეხილს ჭირ-ღუებს და მატლებს აცლი-  
 და და ასუფთავებდა. ბებია მომცრო ტანისა იუო და  
 ქმარივით სქელი. მთელი დღეები შემაბანდში მურა-  
 ბებს ხარშავდა, სოკოს არჩევდა, სენდოს (ჟოლოს)  
 ასმობდა და უკიროდა: „ლუკერია, ქილა! ლუკერია  
 მმარი, ჰილპილი, დაფნის ფოთოლი!

მოსუცი ლუკერია სამხარეულოში ცხოვრობდა,  
 ნაცუქებს, საჭაპურებს, ძაქრის პურებს აცხობდა და  
 მწვანე თუთიეუშის გალიას ასუფთავებდა. როცა ბა-  
 ტონები ქალაქში მიემგ ზავრებოდნენ გასაღებებს მარ-  
 ტო იმას ჩაბარებდნენ სოლმე. ლუკერიას ორი ქბის

ლი-და შეოჩენოდა: ერთი ზემოთი და ერთი ქვემოთი თი. უკრთ ძალიან აკლდა. თვალთ ხომ სრულიად აღარ უწინდა. სძირად ქალბატონის ქაბას კუსა-ვებოდა, ეგონა რომ ქალბატონი იმის წინა დგას.

— სახლს რომ ცეცხლი წაუკიდონ ვერ გაიგებს, ვერ დაინახავს ქურდები რომ ფანჯრიდან შემოიპარონ. იძახოდა ბებია უოველთვის ქალაქში წასვლის დროს.

— არა უძავს რა! ამმვიდებდა მას ქმარი. მაკ მოხუცმა ხომ მე გამომსარდა.

ვასო გადეტი ძალიან ცელქი იუო, ან გენის და თოფის გარდა, საზაფხულოთ თან განმეორებითი გა- მოცდასაც გამოიეოლებდა ხოლმე, მაგრამ წიგნს ხელში ვინ ა-დებინებდა, მთელი დღე ის სესხე ადი- ოდა. საჯინიბო და საქათმე ფიხქვეშ ჭერნდა ამოდე- ბული. ძალიან უკვარდა გოგლი-მოგლი, ამისათვის ქათმებს კვერცხებს ჭარავდა და გოგლი-მოგლის- სთქვევდა. აი ამ გოგლი-მოგლის წეალობით ერთხელ სახლში დიდი ამბავი მოხდა.

საქმე იმაში იუო, რომ იმ საქათმეში, საზაფ ვა- სო იძარებოდა, მელიაც შეეჩირა, მხოლოთ კვერცხე- ბის მოსაპარათ კი არა წიწილების საჭმელათ. მე- ლია, როგორც გველი ისე ჩუმათ შეცურდებოდა ხოლ- მე საქათმეში, ერთ თო წიწილას წაავლებდა ულმი, და დაახრიობდა.

მამალი უვირის „უოუო, უოუო“. დედალი — „საით, საით!“ ეს სიტევები მათ ენაზე ლანძღვას ჩიშნავს, მაგრამ შელიას რა ენადვლება, ის რასაც



მოერება სჭამს და კარგა გამოძრება. რასაც ბრძან იქვე დაჭრის.

ერთ საღამოს მელია საქათემი ვასოს შეხვდა. მელია ჭილობში დაიძალა და სულაგანაბული ცალი თვალით ათვალიერებდა და იცქიონებოდა.

თქაც... თქაც... სთქევეფს ვასო გოგლიმოგლს და კოვს ატრიალებს, ეტეობა რომ მალიან გემრიელ რამეს აკეთებს.

— ნეტა გემო მაჩვენა! ჭყიქობს მელია და ნერწევი პირზე ადგება.

ამ დროს ვასო პეტელას გამოუდგა. მელია გამომვრა საფარიდან და გოგლიმოგლი ალოკა.

— ჟო, მალიან გემრიელი უოფილა, ამის ჭამს შეც არ მაწევნს!

ერთხელ კიდევ ნახა, რომ ვასო რბილ ლოგინში წევს და თეთრი საბანი ხურავს, ესეს მალიან მოეწონა.

— ეჭე! სთქება მან, რა კარგი იქნება მეც რომ ასე რბილთ მეძინოს.

## II.

დაბურულ ტექში ცხოვრობს მაჩვი, ის ცოტათი შელიაზე უფრო დიდია, უმნო და მოუხეშავი, თავზე და პირზე თეთრი ხოლები აქვს. მაჩვი ჭკვიანი არ არის, მაგრამ მშრომელია და სუფთათ ცხოვრება უკვარს. ის თავის სოროს მზიან ადგილზე თხრის, შიგნით მოლისთა და ფოთლებით მოჭუქნს, ზემოთ პატარა სანათურს გაუკეთებს, რომ სუფთა.



ჭავრი დატრიალდეს ხოლმე, სიმერალე არ უკავშირდება.  
და მეტადო მელიას სუნი ძალიან ეჯავრება.

მედიამ ეს ეკელაფერი კარგათ იცის და რადგან  
მაჩვი ქსლა იმისთვის ძალიან გამოსაზევი იუო,  
მოუცადა, და როდესაც მაჩვი ბნელ დამეში სარჩოს  
საძებნელათ წაკიდა, მელია იმის სუფთა სოროში  
შეძრა და კუდი გაშალა.

თენდებოდა, როდესაც მხები ფესვებით და სხვა  
და სხვა საგზლით დატვირთული სოროში დაბრუნდა.  
დაღალულს, გაოფლიანებულს დასკენება უნდოდა, და  
ის კი არა მელიას გრძელ ცხვირს დაეტაკა, ძალიან  
გაჯავრდა: „წადი, დაიგარგე, აქედან, წადი ახლავე“.

— მე კი წავალ, მაგრამ ჩემი სუნი მახც აქ  
დარჩება, სთქვა მელიამ, — ხვალ ჩემ შვილებსაც მო-  
ვასხამ, ჩემ მმისწულებსაც, ჩვენ შემდგინ ხომ ვერ  
ამოისუნთქამ და სიმერალით დაიხრიობი.

საწეალმა ძაჩმა ტირილი მორთო და ცოტლები  
თათებით იწმენდდა, რადგან კუდი მოკლე აქვს.

— მოიწინდე, შე საწეალო, ეგ ცოტლები,  
დასცინის მელია — მე შენ უფრო სუფთა და უპეტერი  
სორო გიძოვნე: თეთრ ბალიშებზე და თეთრ საბის  
ქექმ, რბილ ლოგინში დაგაწვენ, სულ ძაქარს, ვაძლე  
და ქიშმიშსა სჭამ. იცი ქიშმიში რა არის? ეს გამ-  
ხმარი, უკურკო ტებილი უურძენია.

ძაჩმა თათების ლოკვა დაიწეო — იმს უურძენი  
ძალიან უუვარდა, მაგრამ მოაგონდა, რომ მელია  
დიდი ეძმაკი და ცრუა და შეშინებულმა უთხრა:

— სამაგიეროთ მე რაღას მომთხოვ?



— კუდი უნდა დამბარცხნო, ჰირველათ, უქოსთან  
ძედიდურათ მელიამ,—კიდევ ორ ფეხზე სიარული უნ-  
და ისწავლო, იძირომ რომ შენ ახალ სოროში მაჩ-  
ვი კი აღარ იქნები, ვასო კადეტი დაგერქმევა. თუ  
ეველაფერი დაწერილებით გინდა შეიტეო, გაძომევი.

მელია ტეისაკენ გაიქცა, უკან არ მოუხედნია.  
ის დარწმუნებული იყო, რომ მაჩვი აუროლებულ  
სოროში აღარ დარჩებოდა. მართლაც, მაჩვმა დასუნა-  
თავის სორო და გაჯავრებული მელიას უკან გაჰევა.

მიღიოდნენ ეს მსეცები ამ დაბურულ ტუში,  
მირბოდნენ რაც მალი და ღონე ჰქონდათ, ერთობ-  
შოთხუპნენ და განთამდისას დათვს შეხვდნენ.

გაწოლილ დათვი მწვანე მანდორზე, ფეხები-  
მაღლა აუშვერია, თფება და განცხრომაშია.

— ეი, შენ დათო! შორიდამ უკვირის მელა,—  
გინდა ღებული გახდე?

— მე განა ღენერალზე ნაკლები ვარ? იღიმება-  
ღათვი.

— სულელო, სულელო, აბა, რას მაჭარავ?  
იკინის მელია—ჭუჭეიანი, გაბურმენული, ჟელსახვე-  
ვი შენ არა გაქვს, დახეტიალებ, რაც მოგხვდება-  
სჭამ—კარგი ღენერალი კი უოფალხარ!

დათვი — მაწანწალა, ასე უძახდნენ უკელანი ტუ-  
ში მას, ჯერ კიდევ ბელი იყო — ტანადი და ღონიერი,  
მაგრამ ისეთი ზარმაცი, ხარბი და გაუმაძღარი, რომ  
მისი დედმამა არ სწორდნენ, რომ იმან თბევისი და-  
მბა მიატოვა, გამოიქცა და საცა არა მგონია და-  
წანწალებდა.

— მაწანწალავ,—უთხრა მელიამ,—მალე ზამ-  
თარი მოვა, — ზამთარში თბილი ბიჩა მალიან სასია-  
მოვნოა. შენ თითონ გაიკეთებ სოროს თუ ისევ შენ  
დედ-მამასთან დაბრუნდები?

მელიას მალიან კარგათ იცოდა, რომ დედ-მამა  
დათუნას კარში გაძმოაგდებს, თითონ კი სოროს გა-  
კეთება დაეზარება, გვიანაც არის. საცაა დედამიწა  
გაიუინება.

საწელი დათვი დაღონდა, ჩხირი აიღო, ფრჩხი-  
ლების წმენდა დაიწუო და თან ცოტმლებს ელა-  
ჟამდა.

მელამ ცოტა მოიცადა, მიუახლოვდა, გვერდით  
მიუჯდა და თავზე თათები გადაუსვება.

— ნუ სწუხარ, თქვა ალერშით, მე მუხლები  
დამაწედა შენ სოროს მებნაში და საზამთროთ კარგი,  
თბილი სორო გიმოვნე! ეოველ დღე რაც გინდა  
იმას მიირთმევ, ბუმბულებში და თეთრ საბანს ქვეშ  
მოისვენებ. ტკბილ ეურძენს, რომელიც ადამიანებსა  
ზამთრისთვის შეინახეს და ქიმმის ემახიან, მიირთ-  
მევ. ცაცხვის ევავილის თაფლს შეეჭვი. დათვს  
გაეხარდა და სთქვა:

— რატომაც არ მინდა.

— მალიან კარგი, აი ბარაქალა, ჩემთ დათუ-  
ნავ! შეაქო მელიამ. ამ ერთი კვირის შემდეგ, ღენუ-  
რალი, მისი მეუღლე და ვასო კადეტი ქალაქში მიემ-  
გზავრებიან, იქ მხოლოთ ბებერი ბრძა, გადაურუებული  
დედაკაცი და მწვანე თუთიუში დარჩებიან.

— თუთიუში გინ არის? — ჰყითხა შემინებულ-



მა დათვმა,—ის დედა-ჩემივით ცხვირ-ზირში სომ არა  
მცემს?

— რას ამბობ! გაიცინა მელიამ,—თუთიუუმი,  
სულ გალიაშია დამწევდეული, ფრინველია, თუმცა  
კი ადამიანივით ილანძღება სოლმე. ბებერი დედაკა-  
ცი დენერლის ტანისამოსში დაგინახამს თუ არა ნაძ-  
ღილი დენერალი ეგონები.

— ღუ... ღუ! სიამოვნებით ბუტბუტებდა და  
თვი, — ტანისამოსს სად ვიმოვნი.

— მაგაზე მე თითონ ვიზრუნებ,—სოქვა მე-  
ლიამ,—შენ მარტო ეს მითხარი თანახმა ხარ და-  
ნერლობაზე? წარმოიდგინე, მაწანწალავ, ერველ დღე  
თაფლი, შაქარი და რამდენიც გინდა შარბათი..

— ღმ... ღმ!—ჩაიბუტბუტა დათვმა,—მეტის  
სრამოვნებით.

— მალიან კარგი, უკელა ბატონები მზათ არიან,  
— გაიღიმა მელამ!

— დათვი—დენერალი, მაჩვა—ვასო კადეტი,  
მე—თვითონ დიასახლისი, დენერლის მეუღლე.

მელამ ორივეს ქოცნა გაუგზავნა და თითონ საჭ-  
მის მოსაწუობათ ბატონებიანთ სახლისკენ გაემგზავრა.

### III.

ბნელოდა. მელია დენერლის ბაღში შეიპარა, კი-  
ბის ჰარდაპირ ბუჩქებში მიიმაღა. აიგანზე, მთვარის  
სინათლეზე, თუთიუუმის გალია ბრწეინამდა.

თუთიუუმი გალიას რკინის ჯოხს მობდაუჭებო



და, თავქეში ეკიდა და თავის საუკარელ სამშობლოს ფიქრობდა.

თუმცა თავში სისხლი მოაწეა, მაგრამ თუთიეული არ ინძრება, იმას ჰერია რომ ინდოეთის ცხელი მზე ათბობს, მის გარშემო სურმის სის ტოტებზე მაიმუნები ქანაობენ, ძირს უძველებელი მარტორქა მიიმეთ წელის დასალევათ ძირის, მის გარშემო მშვენიერი ფერად ფერადი ბუმბულით შემოსილი ფრინველები — თუთიეუშები დაფრინამენ, გარშემო ბუჩქებიდან ტკბილი ხმა მოისმის.

— მშვენიერო, ჭკვიანო თუთიეუშო, გინდა მთელი პირუტევების მეფეთ გახდე?

თუთიეუში უცხათ წამოხტა, თავი მაღლა ასწია, პუდ ძირს დაუშვა, ცოტათი კისერი მოიგრიხა და უურს უგდებს. სოული სიჩუმეა. დაღონდა. გარშემო სურმის სის მაგივრათ მუსა იდგა, თითონ გალიაში დამწევდეული იქთ და მშვენიერი ფრინველების მაგივრათ მარტო ქათმები და მამალი დაინახა. ქესწუხდა თუთიეუში და თვალები დაზუჭა. ბუჩქებიდამ ხელმეორეთ ტკბილი ხმა მოესმა.

— გინდა, პირუტევების მეფე გახდე?

— ეს რა ამბავია! დაიუვირა თუთიეუშმა, გაჯავრებული ბოსის ხმით, — მტვერი სუფთათ, სუფრით გასწმინდე!

თვალები გაახილა და ბუჩქებში მელიას გრძელი ცხეირი კი დაინახა.

— მე, შენთან პირუტევებმა მოციქულათ გამომგზავნეს, — წაილუღლუდა ნაზათ მელიამ, — უნდა



მეფეთ ამოგირჩიონ. ლაპარაკით ადამიანსა გევხარ,  
ადამიანი კი ლომსაც გალიაში ამწევდევს.

— აა! სთქვა მედიდურათ თუთიეუშმა და ფეხი  
მაღლა ასწია, მელია კი თავისას იმეორებდა:

— ოოგორც კი აქედამ ეს ხალხი წაგა, მოცი-  
ქულები მოგიგლენ.

— გალია გააღეთ, გალია გააღეთ! დაიღრიალა  
თუთიეუშმა.

— აჲ, ჩემო მშვენიერო, დიდის სიამოვნებით,  
მაგრამ ვერ გავბედამ, ჩემზე უფროსები მაჩვი და  
დათვი არის. იმათ კი სჯერათ, რომ შენ ადამიანია  
ვით ლაპარაკობ. შენ ვერ ორი დღე მაინც ლუკერია  
უნდა დაიმორჩილო, რომ პირუტევები დარწმუნდნენ,  
ადამიანი თუთიეუშებს ემორჩილებაო.

თუთიეუშმა ნისკარტი გაიწმინდა, გარშემო მი-  
ისუდ მოიხედა და სიმღერით სთქვა:

— თაა-ფლი, ლუკორია, ხორცი, უველი?

მერე უცბათ დაიღრიალა:

— სულელო, სულელო, სულელო... პური და-  
გავიწედა!

— ოჲ, მშვენიერებავ, ტეის მეფევ! გაცინა ნა-  
ხათ მელიაშ — ძენ ორი დღე უფროსობა გაგვიწიე  
და მესამე დღეს გაგანთავისუფლებთ, ლამას ტახტ-  
ჭე დაგნეამთ. ესლა, ნახვამდის!

და გაიქცა.

— მტკერი გასწმინდე სუფთათ, სუფთათ! სთქვა  
ამაუათ თუთიეუშმა, მაგრამ თავდაღმა კი აღარ დაეკი-  
და, რადგან იმის დიდ თანამდებობას არ ეკადორებოდა.

კისერზე ლომის ფაფარსა ჰერმნობდა, ჩრვანე ფრთები იბურძგნიდა, რომ უფრო დაღათ გამოჩენილიყო.

## IV.

შემოდგომის მიწურული დღეები იუო. დიდი სასია. პური გალეწეს და წისქვილში დასაფქვავათ წაიდგეს. კანაფიც მოჰველიჯეს და დასალბობათ მდინარეში ჩააწეეს. კანაფი მდინარეში ისე დიდხანს ეწეო, რომ გაციებისაც აღარ ეშინოდა და დაავიწედა კიდევ, რომ ის ოდესმე მკრთალ ცისფერ უვავილებით ჭევავოდა.

სარდაფები და მარნები ბოსტნეულებით სავსე იუო: ჭარხალი, ქარტოფილი, ქომიოსტო და სტაფილო. გამლი და მსხალი მეომარ რაზმებივით თახებდი რიგზე გამწერივებული ელაგა.

ბოსტნები მუმა გოგოები ქალბატონმა სახლი დაითხოვა და უველას გამოსამშვიდობებლათ ალისუერი და ლურჯი არშაები დაურიგა.

ვასო ქადეტი ხელებით უურებ დაცობილი იჯდა და გაკეთილების ცმეორებდა. პაპა სიას არდგენდა სხვა და სხვა ნივთების საუიდელათ, დიდედა ლუპურიასთან ერთად ნაზუქებს და ტკბილ ქადებს აცხობდა და და ინდაურებს ბრუნვიდა.

თუ იუგმი მომავალ დესპანებზე ფიქრობდა და რაც ჯანი და ღონე ჭერნდა ბოძანებლობაში იწვრთნებოდა და ქალბატონივით უვიროდა: „ლუკერია, ქათმები არ დაგავიწედეს, ლუკერია, ერთი ცომი ერობოიანი ამიზილე, მეორე უბრალო, მესამეს ხეში უქავი“



დენერალს ფეხები ასტგოვდა, წასკლა ეზარებოდათ და და კუნესოდა:

— ოჭ, ვირმნობ, რომ რამე განსიცდეს მოგვილის, ვაი თუ ეტლს დერძი მოუტედეს და ქალაქამდის ვერ მივაღწიოთ.

თუთაუუშმა ეს სიტყვები დაიხსომა და სულ ევიროდა: „ეტლს დერძი გაუტედა, დერძი!“ ლუპარი რიამ სამკზავრო საგზალი დოროზე მოიტანა. მეუტლებ ბორიბლებს ქონი წაუსვა და ეტლი კარებთან მოაჭენა. დიდებამ გასიაღებები რკინის რგოლზე აასხა და თავის ჩანთაში ჩააწეო ვასო კადეტი თვალურებლიანი თუთიეუშს გამოეთხოვა, კიბეები სტაფილოთი გამოიტენა და ეტლში წინ ჩამოჟდა.

დიდება-პაპაც მალუ ჩასხნენ ეტლში და ზარუბის რაწკარუწებით გზეს გაუდგნენ. მოხუცი ლუპარია დიდხანს კარებთან იდგა და პირჯვარს იწერდა. ღმერთს ევედრებოდა, რომ ბატონების მძღიდობით ემგზავრათ.

დაბინდდა. ლუპერიამ სელში ჯოხი აიღო და სახლის დასათვალიერებლათ წავიდა, მახლობელ ბუჩქებში შეიხედა, ქურდი სომ არსად არის. როცა დამშვიდდა, სახლში შევიდა, სადილიდან მონარჩენი წენიანი შეხვრისა და დოლაბების დაკერვას შეუდგა. ბებერს აზრათაც არ მოხვდია, რომ იმის თვალურინ შუბაბანდი ბანჯღვლიანი ბომა ამართული და გაღაც ფანჯარაში იპარება.

რასაკვირველია მნელი წარმოსადგენი იუო. თუთიეუშმა ცცოდა, რომ ეს დესანები იუგნენ, მოხუ-

ლან რომ ის სამეფო ტახტზე დასვან. ღათვი უკანა  
თათებზე იდგა და იღიმებოდა, მხარზე მაჩვი შეახტა,  
მაჩვს-მელია, მელიამ იხტუნა და ღია ფანჯარაში შე  
მოხტა, ოთახის ჭარები გააღო და სტუმრები შეიპა-  
ტიუა-მობრძანდით, ბატონებო! მაჩვმა ტუჩები გააც-  
მაცუნა. შესვლა უნდა, მაგრამ ემინია, კანკალებს.  
ღათვი ზურგით მოაწვა და ორივე ერთად ოთახში  
შეცვიდნენ.

მელია მორთულა-მოკაზმული ოთახში სარკის წინ  
ტრა-ლების. დაასახლისის დილის კაბა რცვია, თავზე  
ბლონდის სახურავი დაიხურა და უურები ღამალა.

საბუდოიდან ქათმები იუურებიან და იცინიან: აი,  
ნამდვილი ქალბარონი!

ღათვმა დადის წვალებით დენერლის ტანისამოსი  
ჩაიცვა. კვნესის და ოხრავს, ოფლი წურწურით გადა-  
მოხდის. მაჩვმა დიდის სამოვნებით ვასოს თეთრი  
ჰერანგი გადიცვა, წელზე ქამბრი შემოიკრა და სრუ-  
ლებით ვასო კადეტს დაემსგავსა. მელიამ უთო აიღო  
და ორივეს კუდები დაუუთოვა. მელია ზარებს ჯერ  
ნელა აწყარუნებდა, მერე უფრო და უფრო.

ლუკერიამ თავისი დაურუებული უურები დაც-  
ქიტა, ზარების წერიალი ისმის! ბატონები უკან  
დაბრუნდნენ, ღმერთო, უბედურება რამე ხომ არ მე-  
გმთხვათ.

როგორც კი ლუკერიამ ოთახში ფეხი შემოადგი,  
იქ ქალბარონი, ბატონი და ვასო კადეტი დაუწვდნენ.

— ღმ.. ღმ.. დუდუნების ბატონი დათვიდით.

— ღმერთო, შენ შემიწუალე! ბურბურებს დედა-  
კაცი და უპან მიღის.



მელია სულელი კი არ არის, თუთიეუშმის გვიცხოვთხა  
ლიას მივარდა და თათი შიგ შეჭერ. თუთიეუშმის ში-  
შით მოციქულებიც და მეფის ტახტიც დაავიწედა და  
საძინელის ხმით უკანასკნელათ შესწავლილი სიტ-  
უგები წამოიევირა: „ეტლს ღერძი გაუტედა“.

— მადლობა ღმერთს თვითონ მშვიდობით გა-  
დარჩნენ, იძახის ლუკერია და მაგიდაზე თეთრ პურს,  
ნაზუქებს და საჭაპურებს ალაგებს.

— მურ... რაბა! ევირის ცოტათი გონზე მო-  
სული-თუთიეუშმი გასო-კადეტის ხმით და გალიაში  
ამაჟათ ტრიალებს.

ესლა აღარ ეშინან, რომ მელია მას, როგორც  
უბრალო ფრინველს ისე შესჭამს, იცის, რომ ეს  
პირუტევები ტეიდან არიან მოციქულათ გამოგზავნი-  
ლი, რომ მეფეთ მიიწვიონ. ადამიანის ტანისამოსი  
იმიტომ ჩაიცვეს; რომ რამდენიმე სანს აქ იცხოვ-  
ონ და ნახონ, როგორ ბრძანებლობს.

— ლუკერია, შარბათი! იძახის თუთიეუშმი ბა-  
ტონი ღენერალის ხმით. სიჩქარით მოხუცებულ  
ლუკერიას მუხლები მკაცება და დათვის წინ საჭე-  
ბოთლება სდგამს.

— მიირთვით, ბატონო, ოქვენო აღმარებულებავ!

## V.

ლუკერიამ სუფრაზე მრავალი საჭმელასასმელი  
დაბლავა და ოიაჩიდან გრძიდა. მხეცები ტოტებით  
მისცვივდნენ და ეველავერი პირში ჩაიღავეს. დათვმა  
მოქლია ქილა მურაბა პირობი მიიღო და მარაშ არ

გაძოსცალა არ მოეშვა. მაჩვმა ნადებით ცხვირ-პირზე  
ისე მოითხუნა, რომ შისი შავი ბალანი აღარ ჰქანა-  
და, მეწისქვილეს დაქმუგავსა, კიდევ ემებს რა სჭა-  
მოს. ერთ თვალის დახამხამებაზე სავსე სუფრა და-  
ცარიელდა.

მოაქვს და მოაქვს საჭმელები ლუკერიას, სუფრაზე  
დალაგებას ვერ ასწრობს, რომ სავსე სინები ცარიელ-  
დება.

ერთხელ ლუკერიამ ვერ მოითმინა, ნამტერევე-  
ბის მოსაგროვებლათ დაიღუნა, უცბათ საშინლათ  
დაიკიგლა და სამხარეულოში გაგარდა: თურმე დათვს  
ფეხსაც მელის ჩაცმა ვერ მოეხწრო და დედაკაცი ამ  
ბან ჯღვლიან თათს დაეტაცა.

კარგი რომ მელამ თუთიეუშს კუდი გამოუწია;  
ის გაანჩხლდა და ზედიზედ მიაუარა: „სულელო,  
სულელო, სულელო“...

ლუკერიამ ეს სიტუა გაიგონა თუ არა, კონზე  
მოვიდა, გამხიარულდა: „ეს რა მომელანდა, ფიქრობდა  
ბებერი, ღმერთმა იცის რა არ წარმომიდგა, უთუოდ  
ბატონმა თავისი ბან ჯღვლიანი ფეხსაცმელი ჩაიცეა.

ლუკერიამ სუფრა აალაგა და დასამინებლათ წა-  
ვიდა. მხეცებს დედაკაცის უვირილისა ისე შეემინდათ,  
რომ ფარდის უკან მიიმალნენ და შიძით კანკალებ-  
დნენ: კარში რომ გავარდეს და ევირილი მორთოს.  
გლეხები თოფებით და კეტებით მოცვივდებიან და  
ტქაგს გააძოობენ-ამათ.

დათვმა და მაჩვმა მელიას ნება არ მისცეს, რომ  
სანთელი აენთო, თუმცა ის არწმუნებდა, რომ და-



ლაბებიდან სინათლე არ გამოჩენდებათ. ორგვარულ კი  
ჩამობნელდა ტანისამოსი გაიძრეს.

დათვი ოფლიმი გაიწურა მინამ ტანისამოსი და  
ქმნა. ერთი ოცჯერ მაინც მელიას შეუკურთხა და  
თავის თავსაც უსაუკედურა, რომ ტეიდან გაიქცა. რო-  
ცა მხეცებმა ტანთ გაიხადეს, ლოგინში ჩაწვნენ, კა-  
რები ჩაკიტეს და საბნები თავზე წაიხურეს, რომ  
ლუკერია უცაბედათ ოთახში არ შესულიერ და არ  
დაქნახა ისინი.

დილა ადრიან მელია ლოგინიდან წამოხტა-  
გრძელი დილის კაბა გადაიცვა, არმიანი თავ-  
საფარი ჩამოიცვა და სასაღილო ოთახში გავიდა,  
ფარდები ჩამოუშვა, რომ ლუკერიას მხეცების სახე  
ვერ გაერჩია. ტეუილათ ექნოდა ლუკერიას თავის  
ქალბატონის ცვლილება რომ კიდეც შეემჩნა თავის  
თავს არ დაუჯერებდა. მხეცებმა ბევრი შეჭამეს და  
მომეტებული ბოლჩებმი გამოჰკრეს, ტექში გადაჭი-  
დოთ, მოგვინდებათ, ასწავლიდა მელია.

მხეცები ისე გათამამდნენ, რომ დათვმა უკელა  
ეპლსახევები დაჭვლივა, რადგან უკლზე არა სწავლე-  
ბოდა, ბოლოს სუჟთა პირსახოცი უკლზე მოიხვია.   
მელიამ უკელა ქილები გამოცალა, კუდზე იმდენი  
ქონი წაიგლისა, რომ სწავლოამდა. მაჩქმა საათი  
გულზე. ჩის და საათის ჩხავა-ჩხუქს უკრს  
უგდებს. დათვმა სათვალები იპოვნა, ცხვირზე ჩამო-  
იცვა, სელმი ძველი უვის საფეხვათ აიღო, ატ-  
რიალებს უმოწმებლოთ და ჰერონის დიდ საქმეში ვა-  
რო. მელიამ თბილი აბანოც მოინდომა, ბეწვი და-



შირბილდებათ. თუთიეუშის შემწეობით ლუკერის ტავის  
მოამზადებინა აბანო.

მინამ ლუკერია ამზადებდა თბილ და ცივ წეალს  
მელიამ კამოდიდან ამოალაგა რაც კი რამ ფარჩის  
საბნები იუო. მაჩვმა ვასოს წითელი ქამარი აიღო,  
დათვმა საფქავი და სათვალები დაისაკუთრა.

— დღეს ბევრი დავუქვა, მეუოფა, სეალ ტექეში  
კიდევ დავუქვამ. აქ უოფნა მომწეინდა, არც უკირის  
ლი, არც ლოიბლი შეიძლება.

— კარგი, ჩემო დათუნავ, დღეს სადამოზე უთუ-  
ოდ წავალთ. ახლა კი ზურგი კარგათ დამსაპნე და  
დამიზილე. შენ მაჩვო, კუდი დამვარცხნე.

მელიამ იცოდა, რომ სახლის ჰატრონები ან  
დღეს ან სეალ უეჭველათ დაბრუნდებიან და სიყრთ-  
სილის გულისოვის ტექეში წასაღებათ რაც ბოსჩები  
ჰქონდათ მომზადებული საბანაო ოთახში შეატანინა,  
რომ, თუ ვინიცობაა რამე მოხდეს, თავიანთ ბარგი  
ბარსანით ფანჯარაში გადახტებიან, გაიქცევიან და  
თავს უძველიან.

მელია თბილ წეალში წევს, დასუსტდა, ძილი  
კიდება, დათვმა დენერლის უელ ჩახვევები ერთმანეთს  
გადაბა და ბალიშს შემოახვია.

მელას ქონით მოთხუპნული კუდი გაუსუფთავდა.  
ტამტიდან ამოვიდა. მაჩვმა ზეწრით შეამმრალა და  
სავარცხსლით კუდს უგარცხნის. დათვმა ბანჯლვლიანი  
ზეწარი მირს გაუშალა და უთხრა: ამოდი, მელიავ,  
ბეკოდა!

— ოჟ. სულ მეალში და რბილში სასიამოვა-



ნოთიდამიარა თბილმა წეალმა! აქებს მელია, — თითა  
ქოს ზაფხულის თბილ მზეზე ვწევთ, კიდე ჰატარა  
ხანს მაცალე, ფირფვ. მელიას ტებილათ ჩაქმინა და  
სასინმოვნო სიზმრები ეზმანება. დათვეს გაღვიძება  
ეცოდება, ზეწრითა სდგას და ამოქნარებს, საფქვანის  
ტრიალი მოუხდა. „არცავას და ვეცხოვას ამით  
„აი, ფიქრობს ის, — როგორ მალე და უზრუნ-  
ველით დენერალი გავხდი“. მაჩვი არაფერს არ ოც-  
ნებობს, ზის და მელიას კუდის უვარცხნის.

მხეცები არა გრძნობენ, ორმო ეტლმა ალაუზის  
კარებძი მემოაგრიალია. ზარები დაბმულია. ქალბატონს  
ზარების წერიალი მოსწეინდა და მოახსნევინა. ერთი  
დღით შეცდა მელია. ბატონებმა ქალაქში თავიანთ  
საქმეები მალე მოაწეუს და უკან დაბრუნდნენ.

— კარებთან ეტლი მოაჭენეს: რა ამბავია? ლუ-  
კერია მოვრალიათუ ჭკუიდან მეობალა, რომ კითქ-  
ხულობს: „როგორ მოვახსენო ბატონებსო?“

— ბებერო სულელო! — დაუკირა ქალბატონმა.  
— ბებერო სულელო! — გაიმეორა მოუთიქუშმა.  
ოთახში შევიდნენ, იქაურობა სულ ტქოთებული  
და არეულ-დარეული დაუხვდათ, გრბმოვონში ძვლები  
ჭერია, ხალიები მოთხუმნულია, ოთახში იმისთანა  
სიმერალეა, რომ ცხვირ დაუცობლათ არ შეიძლება  
დარჩენა, საბანაო ოთხის კარები ქალბატონმა გაა-  
ღო და მეტ გულ ძეწუხებული დაუცა, ღვერდალმა  
შეასედ და უკირილი მორთა:

— ეი, ქანდარმებო, პოლიციელებო!..

დათვემა ქბილები დაუკრძალება დაუღრინა. ღვ-

ნერალია თავში ხელი იტაცა და იქვე თავის ცოლის ჩხლოს გაძლიერდა.

მელის კონტე მოვიდა, ტამტიდამ სკელი წამოვარდა და უბრძანა:

— ჩქარა, აკრიფეთ თქვენი ბარგი და ჭაიდა!

დათვი ფზნ ჯრის მიღება დაზგა, მაჩვი დათვე მხრებზე ძეახტა და მელის მაჩვენერთი, ორი, სამი! ბოსხები მსრებს კანკალების გასწიეს, მაგრა ესლა დაიჭირეთ, გააქცით, გისაც სიღბილი არ გეხარებათ.

დენერალი და დენერლის მეუღლე გამოფხილდნენ, ოთახში შეიხვდეს, — ფარიელია.

— გესმის, ამბობს დიახახლისი, — არაგასთან არ წამოგდეს, რომ უჩვენ მაგრივათ აქ მსეცები სცხოვობდნენ, ჟურ აძისთანა უცნაური საქმე არავის არ დამართნია, უველანი სასაცილოთ აგვიგდებენ.

იმიტებოდე იმოითა მარტინი ლეიტენანტი იმა დოკუმენტი

(იარგმანი).

იმიტებოდე მარტინი ლეიტენანტი მეტობები იმპ. მესხისა.

იმიტებოდე მარტინი ლეიტენანტი მეტობები იმპ. მესხისა.





## გამოცანები.

(წარმოდგენილი ად იასადაშვილისაგან)

კაცი არის რეინისა, ქუდი ხურავს ძვლისა,  
ტანისამოსი აცვია ტყავისა და ხისა.

—  
არც უჩემოთ შესჭამს ვინმე,  
არც თუ მარტო შე მჭამს ვინმე.

ჩვენი ბუხრის უკან ერთი ხმიადი აყუდია.

## შარადა.

(ზასგანვე წარმოდგენილი)

პირველათ ორი მარცვალი, არის ლითონი ერთგვარი,  
საქმეში კიდეც ხმარობენ, არ არის ძლიერ მაგარი.  
შემდეგ უბრალო ნოტაა ადვილათ სამღერებელი,  
შხოლოთ მთელი კი არის ყველაფრის გამკეონებელი.

ჩარა გამოსათხმელი.

(წარმოდგენილი გ. ჭრელაშვილას-შიგრ)

შენი ყოჩი რქა გრეხილი, ჩემსა ყოჩისა რქა — გრეხილსა,  
რას ებრძოდა, რას ერჩოდა, რას ეყოჩი-რქა-გრეხილებოდა?

# ՀԵՂՄԱԾՈ.



Կարոյլո

անյ ?

, ԵՑ,



- Համուպանեցնեա:** մըլօնո, եսօ, զյուլո, միւնքուն  
**Շմա:** նամցալո, ծարո, տռեօ.  
**Այրուսկուե:** վորո.  
**Իշխնեա:** մը հօմնյեսա წյցուտա զըր գալազուլո մտասառ, այց  
 րում ծոլու մոյզարդցէ ծյեարմն Շյըզող տացսառ.



# ଓଡ଼ିଆ ଉଚ୍ଚଶାଲୀ



ମହି ମନମିଳେସ ଅଳମିଳଦେଲି ମାମା,  
ଦେଇବ ମନମିଳାପା ଏବତମ୍ବନନ୍ଦବାଦି...  
ଦା ପ୍ରେଲାସାଗାନ ମିଳିବେବୁଲିଶ  
ବେଲି ହାମ୍ବିଦା ମିଳାର୍ଜ ନବଲିନଦା!

ପ୍ରକାଶ ଫାରା ମ୍ୟାବଦା ଦା ସିରି ମଧ୍ୟାଲିମା  
ଗାହାନଙ୍ଗା ଯରତିବାନ, ଶୁଣା...  
ମେଳିବେଲ ମନମିଳି ମିଳି ମେଳିନଦା  
ଦା ସିରି ପ୍ରେଲାନ ହାଲାଖି ହାଲା!

ଡାକ୍ତରକି ମାରିବୁକା, ମହି, ମିଳୁରିବା,  
ତାନତ ଏହି ମାତ୍ରାକା, ଏହି ମାତ୍ରା ସାବଲ-କାରି  
ଦା କୁହା-କୁହା ଦଲେଖିଲାବିନ୍ଦିନ୍ଦାଲ୍ଲଭି : ଏକିବେଶବେଳିଶବ୍ଦ  
ମେ ଦାଵିନ୍ଦାଲ୍ଲଭ କିମି ମାନିବାରି, କିମି କିମି କିମି

କିମି : କିମିକୁଠିମନ୍ଦିର  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :

ମହି ମନମିଳେସ ଅଳମିଳଦେଲି ମାମା,  
ଦେଇବ ଗାଦାକ୍ଷ୍ଯା ଏବତମ୍ବନନ୍ଦବାଦି, —  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :  
କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି କୁରି :

**ଲାଲା ପାହାଶିକାରି.**





— ၂၁. გენაცვალეთ, რა იქნა ი კაცი აქამდინ. მე მაშტა  
რებდა და ის კი აღარსადა სჩანს. გოგო, სოფო, გასწი შვილო  
და უთხარი — თუ კი მზე ამოგვისწრობს, რალა დროს წასვლაა-  
თქმ.

მაგრამ აბა სოფო რას გაუგონებდა. ჯერ ხეირიანათ  
არც კი გათენებულიყო, რომ ყველაზე უწინ ის წაშოიჭრა და  
პერანგის ამარა კარებთან ატუზულმა თავისი მომაბეზრებელი  
ზურნა მომართა. ან კი სატირელი როგორ არ იყო? ყველანი  
მთაში მიეშურებოდნენ, იქ ლეკურიც უნდა გაეჩალებინათ,  
ათასი რამეცები ენახათ, მამლის გემრიელი ბარკალიც გამოეხრათ  
და ის კი სახლში მარტო უნდა გდებულიყო. სატირელი იყო  
და, ლვთის წყალობა მქონდეს, რომ ნეხვით გაგლესილ გო-  
გროხასთან ატუზულმა ერთ ხმაზედ ისე დიდხანს იბლულა, რომ  
გულ-გაწვრილებულ მაგდანას სისხლი ყელში მოერია. მან ლო-  
ბეს ერთი კი გასხვეპილი ჯოხი გამოაძრო და თავისებურათ  
წამოუარა.

— ი, შე დასაბრმავებელო შენა, ველარ ჩაწყვიტე, ეგ  
ჩასაციებელი ხმა. იო, ლვთიშობელ დედასა ვთხოვ შენი თავი  
ამოგვეამოს აღრე და მალე... ჩაწყვიტე, ჩაწყვიტე მეთქი ეგ  
ჩასაციებელი ხმა, თორემ ამაზე მეტი აღარ შემიძლიან... ერთი  
მანდ მოვიდე ჯერა! — ამ სიტყვებით მაგდანა გოგოს მოუახლო-  
ვდა, მაგრამ სოფომ უარესათ დაიბლულა და შეფხრეშილი  
პერანგის ფრიალით, როგორც დამფრთხვალი ქორი ისე გავრდა.

— ერთი რასა გაეს, თქვენი ჭირიმეთ, ამოდენა გოგოს  
სირცეიდი როგორ არ უნდა ჰქონდეს... წამოდი ჩაიცვი შე  
დასამიწებელო, თორემ საცა კაცები მოვლენ და ამ ბუწუწებს  
ნუ შემარცხევნ, აგრემც, ვის კარსაც მივდივარ, იმის მადლი  
შენს სახელს გამიწყვეტს და გამომაკლაბს, ჰო... და ი, აგრე!  
მართლაც ამ დროს გარედან ცხენმაც დაიხვიხვინა და სოსიამ  
კვიციანი ცხენი ცოლს კარებზე მოაყენა.

— აბა მზათა ხართ. ი ესეც შენი ცხენი. ი გოგო ნუ-  
ცა სადღაა, აგერ ვანეც მოდის და აბა ნულარ დაეივიანებთ..  
ვანეს გახსენებაზე სიხარულით აწითლებულმა მაგდანამ  
შუბლზე ხელი ჩამოიფარა, ჯერ კოხტა სასიძოს გახედა, შემ-  
დეგ კალთა ხელში აკრიფა და აჩქარებით სახლში შეტრიალდა.  
მალე ვანემაც თახახიანი და ჩალილული წითელი პერანგით

